ქართველი სტუდენტების,
როგორც მომხმარებლების, ღირებულებითი
ფსიქოგრაფიული და ქცევითი პროფილის ანალიზი

ლუკა ნამორაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიგი თევზაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2016 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

_____

ლუკა ნამორაძე

27 ივნისი 2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართველი სტუდენტების, როგორც სამომხმარებლო სეგმენტის რაოდენობრივი კვლევის დოკუმენტს, რომელშიც გაანალიზებულია სტუდენტების ფსიქოგრაფიული პორტრეტი, აღწერილია მათი სამომხმარებლო კალათი და დახასიათებულია ღირებულებითი თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავს მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საზოგადოების აღქმას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტუდენტი, რაოდენობრივი კვლევა, ღირებულებები, მომხმარებელი

Abstract

Following work represents the report of quantitative research of Georgian students, as consumer segment. The work analyses psychographic portrait of student, describes their consumer basket and characterizes features of the basic values, which drives their decision making process and perception toward the society.

Key Words: Student, Quantitative Research, Values, Consumer

მადლობა

მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა ამ სამაგისტრო ნაშრომისათვის ჩატარებულ კვლევაში.

უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა იმ 1127 სტუდენტთაგან თითოეულს, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, რომელთაც ზედმიწევნით ზუსტად და გულმოდგინედ შეავსეს რაოდენობრივი კვლევის კითხვარი.

დაუფასებელია მხარდაჭერა და დახმარება, რომელიც გამიწიეს ჩემმა სტუდენტებმა კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლაში, რომელთაც არაერთგზის შეავსეს კითხვარის საპილოტე ვერსია და გამიზიარეს თავიანთი აზრი კვლევის კითხვარის დახვეწის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეული იმ ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელმაც შიდა ქსელში გაავრცელა კითხვარის შესავსები ბმული და ვუსურვო წარმატება, იმ დიად საქმეში, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის აკეთებენ. აქვე აუცილებლად უნდა გამოვთქვა გულისწყრომა იმ უნივერსიტეტების ადმინისტრაციების მიმართ, რომლებიც გამომეხმაურნენ თხოვნაზე, თუმცა სხვადასხვა მიზეზით უარი განაცხადეს კითხვარის შიდა ქსელში გავრცელებაზე.

მადლობას ვუხდი ასევე მენეჯმენტ საკონსულტაციო კომპანია ინოვას (შპს Innova), რომელმაც დაასპონსორა ჩემი კვლევა, გამომიყო მონაწილეთა წამახალისებელი გათამაშებისათვის პლანშეტური კომპიუტერები, დამითმო საკომუნიკაციო არხები (facebook) და კვლევითი მოდული (surveymonkey). დიდი მადლობა ინოვას გუნდის თითოეულ წევრს, რომლებიც მიზიარებდნენ მენეჯმენტ საკონსულტაციო საქმიანობის მრავალწლიან გამოცდილებას და მეხმარებოდნენ კვლევითი სამუშაოების სწორად ორგანიზებაში. განსაკუთრებული მადლობა კი კომპანიის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია შიშნიაშვილს, რომელიც მუდამ მზად არის მხარდაჭერა აღუთქვას და განახორციელოს ინვესტიცია კომპანიის თანამშრომლების ცოდნასა და კარიერულ განვითარებაში.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, უღრმეს მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ გიგი თევზაძეს, რომელიც კვლევის თითოეული ეტაპის მანძილზე ჩართული იყო პროცესში და არ იშურებდა ძალისხმევას გაეზიარებინა გამოცდილება და ცოდნა, ასევე მოეცა კომპეტენტური და უაღრესად საჭირო რჩევები.

ამ ადამიანების ძალისხმევის, მონდომებისა და კეთილი ნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ მასშტაბის კვლევის წარმატებით ჩატარება.

უკლებლივ ყველას ვუსურვებ წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.

ლუკა ნამორაძე